ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის

# ელექტრონული რესურსები



www.nplg.gov.ge

2008

UNDP

© საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

გუდიაშვილის ქ.7, თბილისი, 0107
ტელ.: +995 (32) 99-92-86
ფაქსი: +995 (32) 99-80-95

ბიბლიოთეკის მკითხველებს შესაძლებლობა აქვთ, ბიბლიოთეკაში მოუსვლელად ინტერნეტის საშუალებით ისარგებლონ ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგით, ციფრული ბიბლიოთეკითა და მონაცემთა ბაზებით.

**WebISIS© კატალოგები**

**ელექტრონული კატალოგი** მოიცავს ბიბლიოთეკის შემდეგი კოლექციების ეგზემპლართა ბიბლიოგრაფიულ ჩანაწერებს:

- ქართული წიგნების
- უცხოენოვანი ლიტერატურის
- დისერტაციების
- ავტორეფერატების
- კარტოგრაფიული გამოცემების (რუკები, გეგმები, ატლასები)
- სანოტო გამოცემების
- მიკროფილმების და მიკროფიშების
- კომპაქტ–დისკების
- საარქივო დოკუმენტების (გამოუქვეყნებელი დოკუმენტები, თვითგამოცემები, ამონარიდები)
- პლაკატის, ესტამპის და ფურცლოვანი გამოცემების

**ქართული წიგნების** ელექტრონული კატალოგში შესულია 1629 წლიდან (ქართულ ენაზე იტალიაში დაიბეჭდა პირველი წიგნი) დღემდე გამოცემული ქართული წიგნადი გამოცემების ბიბლიოგრაფიული ჩანაწერები, იმის მიუხედავად, არის თუ არა ეს გამოცემა ბიბლიოთეკის ფონდებში დაცული.

ბიბლიოთეკის ელექტრონულ კატალოგში ცალკეა გამოყოფილი **საქართველოში გამოცემულ პერიოდულ გამოცემათა სტატიების ანალიტიკურ აღწერილობათა მონაცემთა ბაზები.**
ბიბლიოთეკის მკითხველებს, რომელთაც კომპიუტერთან მუშაობის გამოცდილება არ გააჩნიათ, დახმარებას გაუწევენ ბიბლიოთეკის კატალოგისტ–კონსულტანტები.

ციფრული ბიბლიოთეკა მომხმარებელს საშუალებას აძლევს, წაიკითხოს ელექტრონულ ფორმატში წარმოდგენილი გამოცემების სრული ტექსტები.

**ციფრული ბიბლიოთეკა** შედგება რამდენიმე პროექტისაგან:

1

**NPLG DIGITAL COLLECTIONS**

ბეჭდური არქივის და დისერტაციების ციფრული კოლექცია, სადაც განთავსებულია წიგნებისა და დისერტაციების სრული ტექსტები, წარმოდგენილია ნაბეჭდი გამოცემების ორიგინალების სკანირებული ვერსიები და ელექტრონული წიგნები PDF - ფორმატში.

2




ქართული ლიტერატურის ციფრული კოლექცია შედგება ქართული კლასიკური ლიტერატურის ანთოლოგიისაგან. მასში ჩართულია ძველ ქართულ სიტყვათა ლექსიკონი და ავტორთა მოკლე ბიოგრაფიები პორტრეტებითურთ.
ქართული ლიტერატურის ციფრული კოლექცია შედგება 93 მწერლის 2500 ნაწარმოებისაგან.

3




სამოქალაქო საზოგადოების ციფრული ბიბლიოთეკა მოიცავს ქართულ ენაზე გამოცემულ სამოქალაქო განათლების პროფილის სრულტექსტოვან ლიტერატურას, ილუსტრაციებითა და დანართებით.
სამართლებრივი და შემეცნებითი ხასიათის ინფორმაციას, სახელმძღვანელოებს, საერთაშორისო დოკუმენტებს, კონვენციებს, დეკლარაციებს და ა.შ.

ბიბლიოთეკის მკითხველს შეუძლია, დამოუკიდებლად ან სპეციალისტის დახმარებით წაიკითხოს ციფრული ბიბლიოთეკის სრული ტექსტები და სასურველი ინფორმაცია ჩაიწეროს დისკზე ეროვნული ბიბლიოთეკის „e-კლუბში“, „IATP-ინტერნეტ ცენტრში“ და საცნობარო – ბიბლიოგრაფიულ განყოფილებაში.

## სხვა ელექტრონული რესურსები

**ქართული გაზეთები**

**ქართული გაზეთების საძიებელი** მომხმარებელს საშუალებას აძლევს, მოიძიოს სასურველი გაზეთი არა მარტო სახელწოდების, არამედ გამოცემის თარიღისა და ადგილის, რედაქტორის, თემატიკის, გამომცემელი ორგანოსა და **ISSN**-ის მიხედვით.

**ქართველი ავტორები ინტერნეტში**
ავტორების ბიოგრაფიები და წიგნები

**ცნობარში „ქართველი ავტორები“** – წარმოდგენილია თანამედროვე ქართველი ავტორების ბიოგრაფიული მონაცემები და მათი ავტორობით გამოსული წიგნების ბიბლიოგრაფიული აღწერილობები.

**ებლიტფო**
ლიტერატურული ფორუმი

**საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ლიტერატურული ფორუმი**

ეს არის ფორუმი მათთვის, „ვისაც ქართული ენა საკუთარი შინაგანი ხმის სიტყვებში გადატანისა და თხზვის გამბედაობას აძლევს“, ან, უბრალოდ, უყვარს ლიტერატურა.

**სამოქალაქო განათლება**

**სამოქალაქო განათლების ვირტუალური ბიბლიოთეკა** მოიცავს მონაცემებს სამოქალაქო განათლების საკითხებზე შექმნილი წიგნებისა და მათი ავტორების შესახებ. აქვე შეგიძლიათ, იხილოთ არჩევნების ისტორია – მასალები და პუბლიკაციები საპრეზიდენტო, საპარლამენტო არჩევნებზე. კულტურულ პროგრამებში წარმოდგენილი ელექტრონული ტექსტები მოიცავს ბიბლიოთეკაში კულტურის გამოჩენილი მოღვაწეების მიერ ჩატარებულ საჯარო ლექციებს, ცნობილი კომპოზიტორების ნაწარმოებთა ლიბრეტოებს.

## ელექტრონული ლექსიკონები:

- ხელოვნების ენციკლოპედიური ლექსიკონი
- უცხო სიტყვათა განმარტებითი ლექსიკონი
- ადამიანის უფლებათა ლექსიკონი
- სამოქალაქო განათლების ლექსიკონი
- კომპიუტერული და საბიბლიოთეკო ტერმინთა ლექსიკონი
- საქართველოს ისტორიულ ძეგლთა ბიბლიოგრაფიული ლექსიკონი.

ყველა წარმოდგენილი ელექტრონული რესურსი ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკის ოფიციალური ვებ საიტის საშუალებით: **www.nplg.gov.ge**